საქართველოს სოფლის მეურნეობისა და
გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქ-ნ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროში (შემდგომში - სამინისტრო) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „ნახიდური ჰესის“ (ს/ნ 400207049) მიმდინარე წლის 28 აპრილს წარმოდგენილ N6319 წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ბოლნისის მუნიციპალიტეტში, მდ. ხრამის ხეობაში 7,5 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ნახიდური ჰესის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

დამატებით მოგახსენებთ, რომ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით, სამინისტრომ შეაჩერა პროექტის განხილვა. სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, 2020 წლის 22 ივნისს N9296 წერილით შპს „ნახიდური ჰესმა“ წარმოადგინა დაზუსტებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია პროექტთან დაკავშირებით, რომელშიც დაშვებულ იქნა ტექნიკური უზუსტობა, კერძოდ, დანართი N5-ში (ალტერნატიული ვარიანტები), ბოლო გვერდზე დასკვნის სახით მოცემულ მოკლე რეზიუმეში, ნაცვლად სიტყვებისა „პირველ ალტერნატიულ ვარიანტს“, უნდა იყოს მითითებული „მესამე ალტერნატიულ ვარიანტს“.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან გთხოვთ, დაავალოთ თქვენდამი დაქვემდებარებულ სამსახურ(ებ)ს აღნიშნულის გათვალისწინება ადმინსტრაციული წარმოების პროცესში.

პატივისცემით,
თენგიზ ალავიძე
შპს „ნახიდური ჰესის“ დირექტორი

№ 11871
"30" 07 2020
1 ფ.